

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 6

ქ.ვანი თავისუფლების N65

18 მაისი 2021 წელი

13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, მალხაზ ცერცვაძე, დავით ხარძეიშვილი, შოთა გიორგაძე, სანდრო ხურციძე, აპოლონ რამიშვილი, გია ოჩხიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: ბიჭიკო პაიკიძე, დავით ადეიშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)

მოწვეული პირი: ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ზვიად კაპანაძე.

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 27.5 კვმ ფართის სსიპ „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია“-სთვის (ს/კ 203851509) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს: ზვიად კაპანაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს: ზვიად კაპანაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2020 წლის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს: ზვიად კაპანაძე

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მალხაზ მამასახლისმა (მომხსენებლის ზვიად კაპანაძის არ ყოფნის გამო) კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N63-ში, 573 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 31,01,26,219) განთავსებული შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე მდებარე 27,5 კვ.მ. ფართის სსიპ „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის“-თვის (ს/კ 203851509) უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე, თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელმა განმარტა, რომ საარჩევნო კომისიის მიერ შემოსულია განცხადება 27,5 კვ.მ ფართის უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე. ამ საკითხთან დაკავშირების საჭირო არის საკრებულოს თანხმობა.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 11

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N2/

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მალხაზ მამასახლისმა (ზვიად კაპანაძის საპატიო მიზეზის არ ყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელმა წარადგინა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა საწყისი ფასებით, რომელიც ოქმს დანართის სახით თან ერთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 11

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N3/

გადაწყვეტის:

წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს :

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მალხაზ მამასახლისმა (ზვიად კაპანაძის საპატიო მიზეზის არ ყოფნის გამო) წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2020 წლის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 2020 წელში პრივატიზებული და სარგებლობის უფლებით გადაცემული ობიექტების ნუსხა შეადგენს 101850 (ას ერთი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი.

მათ შორის 1.პრივატიზებული 13 ერთეული არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 20380 (ოცი ათას სამას ოთხმოცი) ლარი.

2.პრივატიზებული 7 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 30570 (ოცდაათი ათას ხუთას სამოცდაათი) ლარი.

3. .პრივატიზებული 1 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით 25500 (ოცდახუთი ათას ხუთასი)ლარი.

4.პრივატიზებული (დემონტაჟი) 1 ერთეული შენობა-ნაგებობიდან 6200 (ექვსი ათას ორასი)ლარი.

5.პრივატიზებული 3 ერთეული ავტომობილიდან 16910 (თექვსმეტი ათას ცხრაას ათი) ლარი.

6.სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემული 4 ერთეული ფართიდან 2290 (ორი ათას ორას ოთხმოცდაათი) ლარი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 11

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N4/

გადაწყვეტის:

წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გთგა გოგბერბე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე